№ 202

პარასკევი, 23 სექტემბერი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1·50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 202

პარასკევი, 23 სექტემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**„ივერია“**
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
სატელეგრ. ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

## დეპეშა

21 სექტემბერი

**ლონდონი.** ხვალისათვის დანიშნულია არა-ჩვეულებრივი კრება მინისტრებისა. ამბობენ, რომ გორკარტი და სამხედრო მინისტრი ბანნერმანი, რომელნიც ამას წინად პარიზში წავიდნენ, უკანვე გამოიხმესო და ლორდ როზბერიც შოტლანდიიდგან უკანვე ბრუნდებაო. ზოგიერთის გაზეთების სიტყვით, ამ კრების მოწვევის მიზეზი საფრანგეთთან უთანხმოებააო, მაგრამ ეს ამბავი არაფრითა მტკიცდება.

**ათონი.** სტამბოლში ხოლერა გაჩნდა, რომელმაც რამდენიმე კაცი უკვე იმსხვერპლა.

**ლონდონი.** გამოცხადებულია, რომ ყველა მადაგასკარის ნავთ-სადგურს ჯარები შემოარტყან. საფრანგეთის მთავარ-რეზიდენტი, რომელსაც მინდობილი აქვს რომ, თუ ვინიცობაა მტრული მოქმედება დაიწყო, საფრანგეთის მოქალაქეთ მფარველობა გაუწიოს, ტამატოვში გაემგზავრა.

**ბერლინი.** გერმანიის სამხედრო ხომალდებს ბრძანება მიეცათ, რომ ჩინეთის სამხრეთ ნავთ-სადგურებისაკენ წარემართნენ.

## ახალი ამბავი

*** ტფილისში ჯიშიან ცხენების მოსაშენებლად დაწესებულს სახელმწიფო საჯინიბოს უფროსის ბერგისათვის ბუხარის ემირს გამოუგზავნია ვერცხლის ვარსკვლავი პირველის ხარისხისა, რომელიც ბ-ნმა ბერგმა არ მიიღო და გუშინ წარუდგინა ბ-ნ გუბერნატორს უკან დასაბრუნებლად.

*** ამას წინად ბ-ნ ფინანსთა მინისტრს მოუწერია კავკასიის მთავარ-მართებლისათვის, რომ სიმდიდრე კავკასიისა და მისი სამრეწველო და სავაჭრო მერმისი უფლებას მაძლევს გთხოვოთ, რომ ყოველის ღონისძიებით ეცადენით, რათა 1896 წელს ნოვგოროდის სამრეწველო გამოფენაზედ რაც შეიძლება მეტი კავკასიის ექსპონენტები დასწრნენ. ამის გამო კავკასიის მთავარ-მართებელმა სთხოვა კავკასიის ყოველ გუბერნატორს, განკარგულება მოახდინეთ, რომ პოლიციამ გამოუცხადოს კავკასიის მცხოვრებლებთა მიიღონ მონაწილეობა რუსეთის გამოფენაზე და თუ გამოფენაზე მონაწილეობის მიღების მსურველთ დასჭირდეთ რაიმე დახმარება მთავრობისაგან, დასახმარებელი კომიტეტები დააწესეთო.

*** ბუხარის ემირს მირ-სეიდ-აბდულ-ახად-ხანს ტფილისში ყოფნის დროს უბრძანებია თავისის მინისტრისათვის მეფე ვახტანგის კანონების კრებულის ყიდვა. ეს კანონები გადათარგმნილ იქნება ჯაგათაის ენაზედ და ემირსა ჰსურს, მისი შესწავლა ბუხარაში სასამართლოების დასაწესებლად.

*** გუშინ სამხედრო ინჟენერების უფროსმა მისწერა პეტერბურგში, რომ რადგანაც ქალაქის გამგეობა არას იწერება ალექსანდრეს ბაღის ზემონაწილის შესახებ, ნება მოგვეცით ეს ბაღი კერძო კაცს მივცეთ იჯარითაო. ამ ბაღის იჯარით აღების მსურველნი ბევრნი არიან.

*** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ტყიბულიდგან ქიათურას გაემგზავრა ქვანახშირის მადნის დასათვალიერებლად. იქიდგან მინისტრი 23 სექტემბერს საგანგებო მატარებლით ბორჯომს წავა და ბორჯომიდგან ტფილისში ჩამოვა დღეს, დილის 9 საათზედ.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი ბ-ნი ფრიდე გუშინ საგანგებო მატარებლით ტფილისს დაბრუნდა.

*** ცხინვალი. ამ დღეებში ლიახვს გაღმა სტეფანე ფარსადანაშვილის ვენახში კიდევ აღმოაჩინა ფილოქსერა საფილოქსერო დასმა.

*** გომი: აგერ ეს მეორე კვირაა, რაც ისევ გამოჩნდნენ ქურდები, რომელნიც მიმავალ მატარებელს ვაგონებსა ხსნიან და საქონელს იპარავენ. ამ ორს დღეში ყარაიაზსა და ალტაგლიას შუა და აღსტაფასა და ფოილას შუა შემოხსნეს მატარებელს ვაგონები და სხვა-და-სხვა საქონელი წაიღეს. 21 სექტემბერსაც, როდესაც საქონლის მატარებელი გომიდგან ქარელს მიდიოდა, მოეხსნათ მატარებლიდგან ვაგონი, გადაეყარათ რვა ცალი ყუთი, მაგრამ როდესაც ყუთები გაალეს, შიგ მხოლოდ ცოცხები აღმოჩნდა და რამდენიმე მათგანიც ცალიერი იყო.

*** გორი: კვირას, 25 სექტემბერს, დღის 12 საათზედ გორის კლუბის დარბაზში დანიშნულია თავად-აზნაურობის წინამძღოლის და დეპუტატების არჩევნები.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ.“ სწერს, რომ მთავრობამ უკვე დაამტკიცა ბათუმის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წესდება.

*** 21 სექტემბერს ჰასან-მამედ-ოღლიმ და მამედ-ჰუსეინ-ოღლიმ პოლიციაში გამოაცხადეს, რომ აბანოს ქუჩაზე ჩვენს სხვაგან მყოფობის დროს, ჩვენმა მოსამსახურემ რასულ-ტერ-ვერდი-ოღლიმ მოგვპარაო ჩაის სასმელი დუქნიდამ 55 მ. ოქროს საათი ვერცხლის ქამარ-მასრები და ჩოხა, სულ 115 მან. ღირებული. დამნაშევეს დაეძებენ.

—

**შეცდომის გასწორება** გუშინდელ ფელეტონის შენიშვნაში შეცდომით არის დაბეჭდილი „უთანხმება“ უნდა იყოს „არ ეთანხმება.“

## კორესპონდენცია

**ფოთი.** 18 სექტემბერს ქ. ფოთში დეპეშა მოვიდა ბ-ნ ნიკოლაძისაგან, რომ საგანგებო მატარებლით მოდის კომისია, რომელმაც უნდა დაათვალიეროს ფოთის ნავთ-სადგური და აგრეთვე დანარჩენი ადგილებიო. მართლაც, ამ დღეს, დილის 11 საათზედ სტუმრები მოვიდნენ საგანგებო მატარებლით. ამ სტუმართა შორის იყვნენ სახელმწიფო საბჭოს წევრი ბ-ნი გ. ი. კაზი თავისი მდივ-

## ფელეტონი

### მე, პისარევი, სანდალა და კიტა.

ამ წლის «ივერიის» მე-193 №-ში არის დაბეჭდილი წერილი კიტასი: „მოამბის მორალისტები“. საშინელი ზიზღით და კიცხვის კილოთი იხსენიებს ავტორი თქვენს უმორჩილეს მონას, ქვემორე ამისა ხელის მომწერს, პისარევს და სანდალას. ვთქვათ ეს მე და სანდალა ვართ და ვართ, ვინც ჩვენს მწერლობაში პირველად ფეხს შესდგამს, და თითო წიხლს არ გვესვრის, მწერლათაც არ ჩაეთვლება. მაგრამ პისარევი რაღა ჩვენთან ხელის წამოსაკრავია? ბ-ნი სტ. ჰრელაშვილზედ თქმისა არ იყვეს, ნე ამ კიტას წერილს ყურადღებას არ მივაქცევდი, ჯერ ერთი ესა, რომ არ იყვეს ცილებითა და სიცრუვით სავსე, მეორეც ესა, რომ ავტორი არ იყვეს ახალგაზდა და ნიჭის და მეცადინეობის ნიშნების პატრონი, რის გამოც ვალია ყველასი, ვისაც შეუძლიან, გააფრთხილოს, რომ იმან ეხლავე არ შეაჩვიოს პირი უცნაურების მოგონებასა და ტყუილებსა, რომ ეს ბოლოს ხელობათ არ გადაექცეს ზოგიერთა ჩვენი მწერლებივით და სარგებლობის მოტანის მაგიერათ ზარალი არ მოუტანოს ჩვენს მწერლობას; მესამეც ესა, რომ მიექცეს იმისი ყურადღება, უბრალოთ და გაუფრთხილებლად არ წარმოსთქვამდეს თავის აზრს და რასაც იტყოდეს, იტყოდეს თავისი თვალით ნახულსა და წაკითხულს და არა სხვებისაგან გაგონილს და შეგონებულს. მესამეც ესა, რომ დიდის სიფრთხილით წარმოსთქვამდეს თავის აზრს ყველა მოღვაწეზედ, ყველა საქმეზედა, და არა ისე, როგორც ის თანდათან იჩენს თავისს ნაწერებში.

შეუდგეთ საქმეს. დავიწყოთ ჩემიდამ.

ზემოდ მოყვანილს სტატიაში ბ-ნს კიტას აქვს მსჯელობა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და მორალისტებზედ, რომელნიც იმას მიაჩნია ხსენებული სწავლის მოწინააღმდეგეთ. (კიტას: მორალი, იდეია, ტენდენცია, სენტენცია ერთი და იგივე ჰგონია, და არ მეგულება შ. არაგვისპირელმა მადლობა უთხრას, რომ ის მორალისტებში ჩასწერა.) და ამბობს შემდეგს.

„არც ქართული ლიტერატურა ასცილებია ამ კამათობას ლიტერატურის ორი სხვა-და-სხვა წარმომადგენელთა შორის, თუმცა უფრო მასხარაობას წააგავდა იგი, ვიდრე კამათობას. მაგალითად „ცისკრის“ ნომერში ჰნახავთ ვიღაცა ქართველ (ქართველ-ი უნდა ეთქვა) პისარევის კრიტიკას, რომელიც თ. ბარათაშვილის «მთაწმინდაზედ შემოღამებას» ჩირადაც არ აფასებს, კუჭს არ მაძღობსო. არ დაავიწყოთ ეს ზრუნვა კუჭისათვისო». *)

რაღა თქმა უნდა მწერლისთვის, რომელსაც პისარევის ხსენება ზიზღსა ჰგვრის, მე ვიღაცა არა და ფარესიც უნდა ვიყვე. მაგრამ ამას თავი დავანებოთ, დეე გვიზიზღოს ავტორმა. გავსინჯოთ მხოლოდ, რამოდენად მართალია ავტორის აზრი. 1863 წ., სულ 19—20 წლის ყმაწვილმა დავწერე „ცისკარში“ ბიბლიოგრაფიული შენიშვნა „საქართველოს მოამბის“ იმ წლის იანვრისა და თებერვლის წიგნებზედ, და აქ შევეხე, სხვათა შორის, იანვრის წიგნში დაბეჭდილს ბარათაშვილის „მთაწმინდაზედ შემოღამებას“. აი რას ვამბობ აქა: „ჩვენი აზრი ის არის, რომ ჟურნალისტი, როგორათაც მოვალე ხელის მომწერლებისა და როგორათაც მზრუნველი საზოგადო წარმატებისა, უნდა ერიდოს ყოველ რიგს უაზროს და უსაგნო (კიტა იტყოდა —უმორალოს) წერილების ბეჭდვისა.

„ჩვენ, გადავშალეთ თუ არა „მოამბის“ პირველი წიგნი, თავშივე დაგვხვდა ჩვენის გამოჩენილის პოეტის ნიკოლოოზ ბარათაშვილის ლექსი „მთაწმინდაზედ შემოღამება“, რომელსაც ეგრეთვე მიეწერება ზემოდ ხსენებული ჩემი აზრი. ეს დიახ კარგი და ჩინებული ლექსია, ამ ლექსიდგანა სჩანს, რომ ავტორი ნამდვილი პოეტი ყოფილა, ჰქონია მგრძნობიარე სული, და სხვა არაფერი! მკითხველი რაღაცა მომზადებით შეუდგება ამ ლექსის კითხვას, და როდესაც გაათავებს, რჩება ხახა-მშრალი, გულცარიელი. ეს იმიტომ, რომ აქედგან არ ამოაქვთ გონების მსაზრდოებელი ლუკმა, და როგორი მშიერი გონებითაც შესდგომიხართ ამის კითხვას, ისრეთივე და უფრო მშიერიც რჩებით...“ აბა ჩააფიქრდით, მკითხველო, მე აქ გონების საზრდოსა ვთხოულობ თუ ვსწუნობ ლექსს იმიტომ, რომ კუჭი არ გამიძღოს-მეთქი. მაგრამ მწერალს, რომელსაც მორალი, იდეია, ტენდენცია, სენტენცია და ამისთანაები ერთმანეთში ვერ გაურჩევია,—იქნება ვერც კუჭსა და გონებას არჩევდეს ერთმანერთში.

ეს ერთი.

„მთაწმინდაზედ შემოღამებას“ ჩირადაც არ აფასებსო, ბრძანებს კიტა.

ვნახოთ ახლა, ან ეს რაოდენათ არის მართალი.

„ეს დიახ კარგი და ჩინებული ლექსია: ამ ლექსიდამა სჩანს, რომ ავტორი ნამდვილი პოეტი ყოფილა, ჰქონია მგრძნობიარე სული“. ვამბობ მე.

მაშასადამე მე ამ ლექსს პოეზიისა და ხელოვნების მხრივ-კი არა ვწუნობ, მე მხოლოდ ვამბობ, რომ გონების საზრდოს არ გვაძლევს-მეთქი. მაშ რათ დასჭირდა კიტას თავისი სიტყვების სროლა? საიდგან წარმოდგა ეს ფაქტების წინააღმდეგი ლაპარაკი?

მესამე.

კიტას აზრით მე ვეკუთვნი მათ (პისარევი და ისიც ქართველი, მაშ რა იქნება!), რომელნიც სრულიად უარჰყოფენ ხელოვნებას ნაწერებში *). გავსინჯოთ ახლა ან აქ რაოდენი სიმართლე მიუძღვის კიტას. აი რას ვკითხულობთ ჩვენ ამ კიტასაგან ზიზღით მოხსენებულსა და სამასხარო ბიბლიოგრაფიულს ჩემს წერილში.

„რაც ჰავჭავაძის ლექსები ჩვენ წაგვიკითხავს შედევრი ამათი არის „მუშა“, დაბეჭდილი იანვრის წიგნში; სწორედ მოგახსენოთ ეს ტემა არის ჩინებული ლუკმა პოეტისთვის. პოეტი ხუდოჟნიკი ამ საგანზედ ისრე

---

*) კურსივი ჩემია ყველგან.

*) რუსის ჟურნალისტებიც ასრეთები არიანო, ბრძანებს კიტა: ოღონდ აზრი იყვეს და როგორც გინდა დაჯღაბნეო. ნეტა თუ რომელი ჟურნალისტები?

ნით, რკინის გზის უფროსი ბ-ნი ა. ი. ფრიდე და ბ-ნი ნ. ნიკოლაძე. მატარებელს დიდ-ძალი ხალხი დახვდა. ამდენის ხალხის თავ-მოყრის მიზეზი ისიც იყო, რომ ბ-ნ ნ. ნიკოლაძის ნახვა უნდოდათ იმათ, რომელთაც ჯერ არ ენახათ. ჩამოხდა თუ არა ბ-ნი ნ. ნიკოლაძე საგანგებო მატარებლიდგან, იმ წამსვე ჩაისვეს ეტლში და მიიწვიეს ბ-ნ ხუმარაძესთან.

მეორე დღეს დილით ადრე შეიკრიბნენ ფოთის რკინის გზის სადგურზედ ახალი ხმოსნები ქალაქისა, რადგანაც აქედგან სტუმრებითურთ უნდა წასულიყვნენ ნავთ-სადგურის დასათვალიერებლად. ერთმა ამომრჩეველთაგანმა ახალს ხმოსნებს შემდეგის სიტყვით მიჰმართა: «როგორც თქვენის არჩევით ხარობს ახლა ქ. ფოთის საზოგადოება, ისე ღმერთს ვსთხოვთ, რომ თქვენის მოღვაწეობითა და კეთილის შრომით მუდამ გახარებულნი დარჩენილიყვნენო“. ბ-ნ ნიკოლაძემ წარმოსთქვა, რომ მე დიდი იმედი მაქვს საქმე კარგად წავიდეს, რადგანაც ისეთი კაცი იმყოფება ახლა ჩვენთან, რომლის სიტყვებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საბჭოში, რომელმაც უნდა განიხილოს ფოთის ნავთსადგურის საქმეო.»

ბ-ნმა კაზმა, რომელიც თავმჯდომარეა რუსეთის ნავთსადგურების მოქმედების კომისიისა, ძალიან გულმოდგინედ დაათვალიერა და გასინჯა ნავთსადგური და აგრეთვე ყოველი ალაგი ქ. ფოთისა.

7-დგან 12 საათამდის კომისია დათვალიერებას მოუნდა, პირველ საათზედ-კი უცხო სტუმრები იყვნენ მიწვეულნი «კოლ ხიდის» სასტუმროში. ბ-ნ ა. ი. ფრიდეს გ. ი. კაზის მდივნითურთ, ნ. ი. ნიკოლაძის გარდა, საუზმეს დაესწრნენ ბ-ნნი გლინკა, კლიანოვსკი, შესტერიკოვი, ხუმარაძე, ხოშტარია, ლეხნიცკი, კ. რუხაძე, ვ. თოფურიძე, ა. ჟვანია, კაულფუსი და ეკი. საუზმის დროს მრავალი გრძნობიერი სიტყვა წარმოითქვა: ბ-ნ გლინკამ (რკინის გზის კონტროლმა) ადღეგრძელა ბ-ნნი გ. ი. კაზი, ა. ი. ფრიდე და ნ. ნიკოლაძე. ბ-ნ ნ. ნიკოლაძემაც დალია სადღეგრძელო ბ-ნთ გ. ი. კაზისა, ა. ი. ფრიდესი და გლინკასი და ყველანი ალტაცებაში მოიყვანა. საუზმის შემდეგ ბ-ნი გ. ი. კაზმა, ა. ი. ფრიდემ, ნ. ი. ნიკოლაძემ, შესტერიკოვმა და გლინკამ ნახეს ყოვლად უსამღვდელოესი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი და შემდეგ, ნაშუადღევის 2 საათზედ, გაემგზავრნენ ქ. ქუთაისისკენ. ბ-ნნი გ. ი. კაზი და ა. ი. ფრიდე დიდად მხიარულნი გამოემშვიდობნენ იქ მყოფთ. დაიძრა თუ არა საგანგებო მატარებელი, დაიწყეს ქართულად «მრავალჟამიერის» გალობა და ქუდების ქნევა.

ვარდენ ყიფიანი

---

**საჩინო.** 15 სექტემბერს ს. ვანში დანიშნული იყო მამასახლისისა და სხვა სოფლის მოხელეების არჩევანი. დილიდგან დაიწყო ხალხმა თავის მოყრა სოფლის კანცელარიასთან. შუადღისას მთელმა კრებამ თავი მოიყარა. გლეხებს გარდა, თავად-აზნაურობაც დაესწრო ამ კრებას. აქ შემთხვევით დაესწრო ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. დ. ნიჟარაძე, რომელმაც განუმარტა კრებას მშვენიერის მოკლე სიტყვით, რამდენად არის საჭირო კარგი და პატიოსანი მამასახლისი და აგრეთვე ყოველი მოხელე. შემდეგ ამავე აზრით ელაპარაკა ხალხს ბოქაულის მოადგილე ბ-ნი იაშვილი, დასასრულ — ბოქაულმა უთხრა კრებას დაესახელებინათ ვინ უნდოდათ მამასახლისად. ივანე გიორგაძეო დაიძახა კრების უმეტესობამ. ძველი მამასახლისი მაღლაკელიძეო, ჰყვიროდნენ ზოგიერთნი რიცხვით მცირედნი. ისეთი ჟრიამული დადგა, კაცი ვერას გაარჩევდა, ვის ვინა ჰსურდა. როგორც იყო დააწყნარეს ხალხი: ბოქაულის მოადგილემ უთხრა კრებას, რომ თუ ასე იყვირეთ და ეწინააღმდეგეთ ერთი მეორეს, კრებას დავითხოვ და ხელმეორედ დაგიბარებთო! თუ მაშინაც აგრე უწესოდ მოიქეცით, ადვილად შესაძლებელია სულ ჩამოგერთვათ მამასახლისის არჩევანის უფლება, და მაშინ მთავრობა თითონ დაგინიშნავთ მამასახლისსაო.

კრება ორ დასად განაწილდა, ერთი ი. გიორგაძეს ემხრობოდა (უფრო მეტი თვალად) და მეორე ძველს მამასახლისს მაღლაკელიძეს. მოჰკიდეს ხელი გიორგაძეს, ასწიეს მაღლა და ჰყვიროდნენ, ეს გვინდა, ესაო!— ეს გიორგაძე წინადაც ორჯელ აირჩია ხალხმა მამასახლისად; მაგრამ როგორღაც ვერ ეღირსა მამასახლისობა. ცხადი იყო ყველასათვის, რომ ხმის უმეტესობა დღესაც ი. გიორგაძეს ასახელებდა; მაგრამ ბ-ნს პოლიციის ბოქაულს «უწესოდ» მოეჩვენა ყოველივე და გამოუცხადა ხალხს კრება დაიშალოს, დღეს აღარ იქნება არავითარი არჩევანი, სხვა დროს დაგიბარებთო! ბევრს ევედრა ხალხი — დღესვე გავათაოდ არჩევანები, სხვა დღეს ნუღარ მოგვაცდენთ, ვიღუპებითო, მაგრამ ვედრება იგი დარჩა, ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. კრება უკანონოდ იცნეს.

შემდეგ იარმუკობის დაწესების შესახებაც ჩამოვარდა ლაპარაკი ხალხში. უნდოდათ განაჩენი დაედგინათ, მაგრამ ესეც უკანონოდ იქნა ცნობილი...

თან-ნარელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ზოგიერთ უნივერსიტეტის ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელი ამხანაგობანი დროგამოშვებით მოაგონებენ ხოლმე იმათ, რომელთაც ამ ამხანაგობათაგან სტუდენტებად ყოფნის დროს ფული უსესხიათ, და დაბრუნება კი დაჰვიწყებიათ, ამა-და ამ დროს ჩვენგან ნასესხი ფული დაგვიბრუნეთო. ამ ამხანაგობათა ანგარიშებიდგანა სჩანს, რომ ზოგიერთს ისეთს კაცებს არ დაუბრუნებიათ სტუდენტობის დროს ნასესხი ფული, რომლებიც ათი-ოცი წელიწადია უკვე სამსახურში არიან. ეს უფრო იმიტომ ხდება ხოლმე, რომ ბევრს ავიწყდება ვალის გასტუმრება. მაგრამ, ასეა თუ ისე, ანგარიშითა სჩანს, რომ ზოგიერთ ამხანაგობათ სესხად ათას თუმნობით გაუციათ ფული, ამ ფულს აღარ უბრუნებენ და ამის გამო ამხანაგობათ შეძლება აღარა აქვთ ეხლა სხვა გაჭირვებულ სტუდენტებს დაეხმარნენ. ამიტომ ამხანაგობათა კომიტეტები იკრიბებიან და წერილებსა სწერენ თავისს მოვალეთ, ფული გამოგვიგზავნეთო. ასე მოიქცა ამას წინად ხარკოვის უნივერსიტეტის ამხანაგობის კომიტეტი. გაზეთი «ხარკოვ. ვედ»-ი სწერს:

მაისიდგან აქამდე ამხანაგობას დაუბრუნდა სესხად გაცემული 6,500 მან. (ნაკვეთი ამ ფულისა, წესდების თანხმად, მიემატა ამხანაგობის ძირეულს თანხას). ყველა, ვინც-კი ამხანაგობას ფული დაუბრუნა, სწერენ: დიდად მადლობელნი ვართ, რომ მოგვაგონეთ ჩვენი ვალი და ბოდიშს ვიხდით, რომ აქამდე დავიგვიანეთო; ზოგნი ამბობენ — დაგვავიწყდაო, ზოგნი — გაჭირვებულნი ვიყავითო და ზოგნი გულ-ახდით აღიარებენ: მიზეზი ფულის დაგვიანებისა ჩვენი დაუდევრობა არისო. ზოგიერთებმა მხოლოდ ერთი ნაწილი დააბრუნეს და სთხოვეს კომიტეტს, დაგვაცადეთ და დანარჩენსაც გამოგზავნითო. კომიტეტი ამ შემთხვევაში ძალიან არავის აცანს, ყველას აძლევს შეღავათს (ზოგიერთები ჰპირდებიან თვეში 4—5 მანეთს გადავიხდითო) და ჯერ ამხანაგობას არავისთვის უჩივლია.

ზოგიერთებმა სესხად აღებულ ფულს თავისი ფულიც დაუმატეს და ისე გაუგზავნეს კომიტეტს. ერთს კაცს, მაგალითად, კომიტეტისა ემართა 90 მანეთი. ეს ფულიც გაუგზავნა კომიტეტს და სხვა კიდევ 110 მანეთიც შესწირა. ხოლო ერთი მოვალე მოქცეულა უცნაურად. ამ კაცს კომიტეტისა 200 მანეთი ჰმართებია, გაუგზავნია ეს ფული და თანაც შემდეგი წერილი გაუყოლებია:

ვუგზავნი სათრევად და სახუმრად გამზადებულ კომიტეტს ხარკოვის უნივერსიტეტის ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებისას 200 მანათს, რათა ეს ფული სასამართლოში საქმის წარმოებისათვის გამოიყენოს და სამართალში მისცეს ყველა ისინი, ვისაც ფული არა აქვს და არც იქნება 1894 წლის ივლისამდე. „ღმერთო, აშორე ჩემი საბრალო ამხანაგები ჩვენს საქველმოქმედო კომიტეტთან დავა-სახიკარს?“

**

„Koelnische Zeitung“-ი იუწყება, პეტერბურგში ხმა დადის, ვლადივოსტოკიდგან დეპეშა მოვიდა, რომ ჩინელები დაეცნენ უსურიის რკინის გზის ერთს სადგურს, დაჰხოცეს რკინის გზის მოსამსახურენი და სადგურიც გასძარცვესო. ავაზაკებს ჯარი გაზოუდგა, მაგრამ ვერ დაეწია, რადგანაც იმათ ჩინეთის საზღვარზედ გადასვლა მოასწრეს.

ლონდონის ერთი დეპეშათა სააგენტო სწერს ამ საქმის შესახებ:

კატორგაში გაგზავნილი ციმბირის რკინის გზაზედ მომუშავე 2,000 კაცი თითონვე დაეხმარნენ ჩინელებს, რომ ამ საშუალებით გაგზავნილი ყოფილიყო 5,000 ჯარის-კაცი ჩინელების სადევნელად. ეს ჯარი უკვე მივიდა კორეს ჩრდილოეთს პროვინციაში ჭამ-ჭონგ დოში.

## რუსეთი

—

შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან შემუშავებული ახალი წესდება სარ..

---

წარმოსთქვამს თავის შევუბებულს გესლსა და შემაგრებულს მწუხარებას, ისრე გამოგისახავთ და თვალით დაგანახვებთ ამათს (მუშების) მდგომარეობას, შეგიყვანთ იმათს გულში და, როგორც თქვენს ხუთს თითს, ისრე დაგანახვებთ იმათს კაცობრიულს გულის-ფეთქას, კაცობრიულს გრძნობას, რომელნიც კაცთავე უსამართლობით, ძალმომრეობით, საზოგადოების სიბრმავით და დაუნახველობით აქვთ ამათ შემაგრებული უწყალო ლტოლვაში, დახშული თვისი უფლების დ წარმოთქმის ბრძოლაში, — ამას ყველას ისრე დაგანახვებთ, რომ გულ-გაქვავებულს კაცსაც შეურყევს უწყალოების და აგრძნობინებს ამათს დაჩაგვრას, უსამართლობას. ჭავჭავაძე მართლაცა და პოეტური ფერებით აგვიწერს მუშის ყოფას. ის პირველს თავშივე ჯერ ამათს ღიღინში ჰხედავს ამათს მწუხარებასა, შედის ამათს ვინაობასა და სამწუხარო ხვედრის გამოკითხვაში... შემდეგ მეორესა და მესამე თავში გიჩვენებთ ორს მხატვრობას. მეორე თავში ჰხედავთ მუშის მძიმე ტვირთ ქვეშ მოკაკულს საცოდავათ მიმავალს ტვირთის პატრონთან. ამას წაუოეწევა დიდი კაცი ეკიპაჟით და არცკი ჰხედავს თავისავით კაცს და ატანინებს ცხენებს. ამ აცოდაობას ხალხი ჰხედავს შებრალების ნაცვლად იცინის და არ ეხმარება ტვირთი ისევ წამოჰკიდოს. — სწორეთ რომ საუცხოვო სურათია. კაცი, ჩემსავით კაცი, ვინ იცის რავდენით ჩემზედ ნაკლები ღირსებით, გონებით, სინიდისით, გრძნობით, მხედავს ტვირთის ქვეშ საცოდავათ მოკაკულს ლუკმა პურისთვის, და იმის მაგიერად რომ შემიბრალოს, ქონება, რომელშიაც მე უთუოთ წილი მაქვს და რომელიც ამას გამოუქენჯნია ჩემისთანა დაჩაგრული კაცისაგან და ახლა თავის საკუთრებას ეძახის — მიწილადოს მე, რომელიც ლუკმა პურისთვის პირუტყვის ხელობას შევდგომივარ, ის, ამის ნაცვლად, არამც თუ არ იჩენს სიბრალულს, პირ-იქით „კოკასავით“ მატანინებს ცხენებსა და ჩემი სიკვდილი ჩალადაც არ მიაჩნია... მესამე თავში მიაქვს მუშას ტვირთი პატრონთან. პატრონი გროშობით უკლებს — უნდა ფასში გამორჩეს ოფლით და წელის წყვეტით პურის ლუკმის შემძენს კაცსა... აი მხატვრობა, რომელსაც გვიჩვენებს ჭავჭავაძე მუშაში. ეს სურათები მარჯვეთ აქვს ჭავჭავაძეს შეკრებილი და გაწყობილი. მაგრამ თქვენ აქ ვერა ჰხედავთ, რომ ავტორი თანაუგრძნობდეს ამას. ესა სცდილობს დაუხლოვდეს, მიაკრას ამათს მდგომარეობას გული, მაგრამ ვერც გულით და ვერც გრძნობით ვერ დაჰნათესავებია ეს ამათს ცხოვრებას. ამის გამო ჰხედავთ დაძალადებულს გრძნობას. მისგამო, რომ ავტორი ვერ თანაუგრძნობს და ვერ დაჰნათესავებია თვის გამონასახს, თქვენ, როდესაც კითხულობთ „მუშას“, არა გრძნობთ იმ სიმწარეს, იმ ნაღველს, იმ სიბრალულს, რომელსაც ავტორი სცდილობს აღგიძრათ და გამოგიხატოთ..“

ჩავაკვირდეთ ამ გამონაწერსა და ვიკითხოთ: მართლა უარსა ვყოფ მე ხელოვნებას, როგორც ამბობს კიტა, თუ, პირიქით ვთხოულობ, რომ, რაც იწერება, უნდა იყვეს დაწერილი ხელოვნურად. ამ ამოწერილიდამ ცხადათ უნდა ამოიკითხოს ყველა მკითხველმა, რომ მე, არამც თუ ვთხოულობ, ყველა ნაწერი, ყველა აზრი ხელოვნურად იყვეს აგებული და შემუშავებული, ვთხოულობ მეტს, ვთხოულობ, რომ მარტო გონების ჩატანება არა კმარა ხელოვნებაში: ხელოვნება მხოლოდ არის მაშინ სრული და მისწვდება თავის დანიშნულებას, როდესაც გონებასთან, ხელოვნებასთან არის ჩატანებული თქვენი სული, თქვენი გული, თქვენი სრული თანაგრძნობა.

მაშ რათ ინება, ვიკითხოთ ხელმეორეთ, ბატონმა კიტამ ასრეთი ზიზღით კიცხვა და ფაქტების წინააღმდეგი ლაპარაკი? ნუ თუ წაიკითხა და ვერ გაიგოვო, იტყვის მკითხველი. არა, მკითხველო, რომ წიეკითხა, კიდეც გაიგებდა. მაგრამ, აბა ეს წერილიც მიტომ არის დაწერილი, რომ ახალგაზრდა მწერალი, როგორც ზემოთ ითქვა, გავაფრთხილო, რომ რაც თვითონ არ წაუკითხავს და არ იცის ნუ ენდობა სხვებს და მეტადრე პამფლეტებს. ეს აზრი, რომ მე პოეზია არ მომწონს მიტომ, რომ კუჭს არ მიძღობს, ჩემი ნაწერებიდამ-კი არ ამოიკითხა ბ. კიტამ, ამოიკითხა „სხარტულიდამ“ რომელიც იყო 1863 წ. „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი. ამოიკითხა, არ შეამოწმა ნანდვილთან, დაიჯერა და დაიყვირა: პოეზია ლობიო შეჭამადი ჰგონიაო! აი დასარწმუნებლათ შეამოწმეთ კიტას სიტყვები „სხარტულას“ სიტყვებთან თუ თითქმის ასო-ასო არ იყვეს ერთი მეორედამ ამოღებული. აი კიტეს სიტყვები: „ბარათაშვილის „მთაწმიდაზედ შემოღამებას“ ჩირადაც არ აფასებს, კუჭს არ მოძღობსო» აი ახლა „სხარტულას“ სიტყვები: „ბარათაშვილის ლექსს მშიერი ვიკარდი, გეგონა ლობიო შეჭამადი დაგვხვდებოდა და იმის მაგიერ, რომ მშვენიერი ლექსი დაგხვდა — აბა მშიერს რა გელექსებოდა — გაკაპასდი და დაიწყე ყვირილი, რომ მადა გამილვიძა და კუჭი-კი არ გამიძღოო.“ აი, საიდამ ამოიღო კიტამ თავისი აზრი და სიტყვები ჩემის კუჭის შესახებ. აბა ახლა შეადაროს ბ. კიტამ თავისი სიტყვები ამ პამფლეტის სიტყვებთან და ორივენი ჩემს ზემოთ მოყვანილს სიტყვებთან, განა რამე მსგავსება აქვს, და განა ახალგაზდა მწერალი, რომელსაც უნდა მწერლობაში ადგილი დაიჭიროს და ნდობა შეიძინოს, უნდა თვისი აზრები პამფლეტებზედ დაამყაროს? ახლა ჩვენც რომ დაგვეწერა პამფლეტი მაგ პამფლეტის ავტორის სხვა ნაწერებზედ, მაშინ ხომ უნდა იმის ნაწერებზედ, რომლებსაც კიტა ეხლა ასრე აქებს, ლანძღვადა კიცხვა დაეწერა. განა ეს წერაა? რაც შეეხება მას, რომ მე პოეზიიდამ გონებისა და თუ გნებავთ კუჭის საზრდოსაცა ვთხოულობდი — და ვთხოულობ კიდევაც — ეს კიტას ნურც ჩემი და ნურც პისარევის მოგონილი ნუ ჰგონია, როგორც ამას ქვემოდაც უჩვენებთ, როდესაც პისარევზედ გვექნება ლაპარაკი. არც პისარევი და არც მე ჯერ მოგონილებიც არ ვიყავით, რომ აი, სხვათა შორის რა გვესმის ხელოვნებაზედ პრუდონისა და ბელინსკისაგან. ეს ერთხელაც მითქვამს და ეხლაც კიდევ საჭიროთა ხდება ამისი განმეორება ჩვენს მწერლობაში.

აი ბელინსკის სიტყვები.

„ეხლანდელს მწერლებში მარტო

ჩო-სანოვავის მხრივ ხალხის უზრუნველ ყოფისა არ შეეხება ციმბირის გუბერნიებს, ამიერ-კავკასიასა და ფინლიანდიის დიდს-სამთავროს.

—

პეტერბურგში კვლავ დაიწყეს ლაპარაკი დედათა სამკურნალო ინსტიტუტის დაარსების შესახებ. თანხა, რომელიც დედათა სამკურნალო განათლების ხხვა-და-სხვა თანამგრძნობელთაგან არის შეწირული, იმდენად შესამჩნევია, რომ მხოლოდ რამდენიმე-ღა ათასი მანათი აკლია საკმაო თანხის შესრულებას. ამის გარდა, სწავლა განათლების სამინისტროს და ქალაქის საბჭოს განზრახვა აქვთ ამ ინსტიტუტს ყოველ-წლიურად ფულით დახმარება აღმოუჩინონ.

—

ამას წინად დაბეჭდილ ციხე-საპატიმროთა მთავარ-სამმართველოს 1892 წლ. ანგარიშში, სხვათა შორის, ნაჩვენებია, რომ 1893 წლის დამდეგისათვის რუსეთში 20 ზნეობის—გმასწორებელი ახალშენი ყოფილა. ამ ახალშენებს თავისს საკუთარი თანხა 523,8840 მანათი ჰქონია. შემოსავალი ყოფილა 385,940 მან., ხოლო ხარჯი 323,885 მ. ყველა ახალშენში 923 ყმაწვილი და 87 ქალი ჰყოლიათ. ამ ანგარიშში ისიც არის მოხსენებული, რომ იმ ათს საზოგადოებას, რომელთაც აზრადა აქვთ ამ გვარივე ახალშენები დააარსონ, თითქმის არაფერი გაუკეთებია-რაო.

—

„Петер. Вѣдомос." სცდილობს გამოიკვლიოს, რამდენი დაჯდება მთელს რუსეთის ხალხში წერა-კითხვის გავრცელება. გაზეთი თავისს გამოკვლევას, შემდეგს მოსაზრებაზედ ამყარებს:

თუ ისე ვიანგარიშებთ, რომ რუსეთში მარტო 100,000,000 მცხოვრები კაცია, მაშინ, სტატისტიკურ გამოკვლევის რაოდენობის მიხედვით ჩვენ, იმ წლოვანებისა, რა დროსაც სკოლაში აბარებენ ხოლმე, 15,000,000 ნაკლები არ გვეყოლება. რადგანაც ხალხი ძალიან დაფანტულად სცხოვრობს, სოფლის სასწავლებელი დაახლოვებით 250 კაცს უნდა აკმაყოფილებდეს, მოსწავლეთა რიცხვი 45 არ უნდა აღემატებოდეს; ეს რიცხვი ხომ შუათანაა სოფლის სკოლისთვის. ამის მიხედვით, მთელს ხალხში წერა-კითხვის გასავრცელებლად რუსეთში 400,000 სკოლა უნდა იყოს. მხოლოდ თუ ზემოდ მოყვანილის რიცხვითგან გამოვაკლებთ იმ რიცხვს მცხოვრებლებისას, რომლებიც სკოლაში შესვლის წლოვანების დროს პირდაპირ საშუალო სასწავლებელში შედიან, და მხედველობაშივე მივიღებთ, მოქალაქეთა მჭიდრო დასახლებას, შეიძლება ვსთქვათ, რომ 300,000 სკოლაც საკმაო იქმნება, რომ ყველას შეძლება ჰქონდეს წერა-კითხვა შეისწავლოს.

თუ ორთა შუა რიცხვით თითოეულის სკოლის შენახვა 500 მანათი ეღირება (ეხლა-კი 532 მანათი ჰღირს) მაშინ ზემოხსენებული სკოლების შენახვას 150,000,000 მანათზედ ნაკლები არ მოუნდებაო.

დასასრულ გაზეთი „Петер. Вѣд." ამბობს: „თუ სახეში ვიქონიებთ, რომ მცხოვრებთა უმეცრება უბოროტესი შინაური მტერია, ყველა გარეგან მტრებზედ უფრო საშიშარი, მაშინ ჩვენთვის თვალსაჩინო იქნება, რა ნაყოფს მოიტანს ის ფული (თუნდაც ძალიან ბევრი დაიხარჯოს), რომელიც ხალხის საერთო განათლებას მოხმარდებაო.

მრავალჯერ თქმულა და დაწერილა, რომ ხალხის სწავლა-განათლება სავალდებულო უნდა იყოსო. ზემოხსენებულ გაზეთს ეს საბუთიანად მიაჩნია იმის დასამტკიცებლად, რომ: თვითონ ცხოვრება გვაიძულებს აუცილებლად წავსდგათ ეს დიდებული ისტორიის მიერ აღნიშვნის ღირსი ნაბიჯი ეროვნულ განახლებისა.

## თეატრი და მუსიკა

—

დღეს სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილი იქნება „ფაუსტი", მუს. გუნოსი. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი ზაბელლა, კარრი და ბ-ნნი სეკაროჟანსკი, მაქსაკოვი, ფაორიარი და სხვანი.

—

დღესვე წარმოდგენა აქვს გუბერტ ჯგუკის ცირკს.

## უცხოეთი

**ინგლისი**. პეკინიდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ჩინეთის მთავრობამ გადასწყვიტა, იაპონიას არ შეეურიგდებით იმ შემთხვევაშიაც-კი, რომ კიდეც დაგვამარცხონო. რადგანაც მართლა შესაძლებელია, იაპონელები პეკინს დაეცნენ, ამიტომ ხელმწიფის გვარეულობა და მთავრობის წარმომადგენელნი ნანკინში აპირებენ გადასახლებას. ჩინელები ამბობენ, იაპონელებმა იმიტომ დაგვამარცხეს, რომ კორესა და ჩინეთის ზოგიერთ ადგილებში იაპონელების ჯაშუშები არიან და იმათის წყალობით იაპონელთა გენერლებს დაწვრილებული ცნობები აქვთ ხოლმე შესახებ იმისა, სად რამდენი ჯარი ჰყავთ ჩინელებს, საით, აპირებენ ამ ჯარის გაგზავნას და სხვ. ჩინეთის ყველა პროვინციებში ეხლა იაპონელების ჯაშუშებს დაეძებენ.

—

**ბერლინი**. ბერლინში ყველა პოლიციის განყოფილებასთან საკუთარი მოხელე-ქალები დანიშნეს. ამ ქალებს ისეთივე უფლებანი აქვთ მინიჭებული, როგორც პოლიციის მოხელე კაცებს და ეწოდებათ: Schutzfrauen. ორსავე სქესის მოხელეთ ერთი და იგივე ჯამაგირები დაენიშნათ და მოვალეობაც ერთგვარი აქვთ. ქალების პოლიციელებად დანიშვნის მიზეზი ის არის, რომ ჰსურთ დამნაშავე ქალებს რიგიანად ადევნონ თვალ-ყური. წინადაც იყო საკუთარი წრე იმ ქალებისა, რომელნიც პოლიციას ემსახურებოდნენ და საიდუმლო პოლიციის მოხელის თანამდებობას ასრულებდნენ. მაგრამ პოლიციის მოხელე-ქალთ არა ჰსურთ ამ ქალბატონებში გაერივნონ. Schutzfrauen—სათნოებით აღსავსე ქალები არიან, რომელნიც თავისს ოჯახს ლუკმა-პურს აწვდიან. სამსახურის გათავების შემდეგ ისეთივე დიასახლისები არიან, როგორც დანარჩენი ქალები. ყველა პოლიციის განყოფილებასთან, თითო მოხელე-ქალი ყოველთვისა სდგას, რომელსაც გადასცემენ ხოლმე შეპყრობილს დამნაშავე-ქალს. ამბობენ, რომ ამ ქალების სამსახურს პოლიციაში დიდი სარგებლობა მოაქვსო. ამიტომ გერმანიის სხვა ქალაქებსაც ჰსურთ ბერლინის მაგალითს მიჰბაძონ.

—

**აღმოსავლეთის ომი**. კორეს მეფემ მოიწადინა ახალ ცვლილებათა შემოღება თავისს სამფლობელოში და შემდეგი ბრძანება გასცა:

1) ჩინელების წელთა-აღრიცხვის მაგიერად შემოღებულ იქმნება ჩვენი საკუთარი წელთა-აღრიცხვა, რომელიც უნდა იწყებოდეს კორეს სახელმწიფოს დაარსების დღიდგან; 2) სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციაში თანამდებობის მიღების უფლება შთამომავლობით აღარ იქმნება, არამედ ყველას შეეძლება მიღება რომელსამე თანამდებობისა, წოდებისა და ქონების მიუხედავად; 3) დანაშაულისათვის პასუხი უნდა აგოს მხოლოდ თვით დამნაშავემ და არა მისმა ოჯახმა, ნათესავებმა და მეგობრებმა; 4) გაყრის შემდეგ ნება ეძლევათ მეორე ქორწინებისა არა მარტო ქმრებს, არამედ ცოლებსაც; 5) მამაკაცს ცოლის შერთვის ნება აქვს, როცა 20 წლისა შესრულდება, ხოლო ქალი 16 წლისა უნდა იყოს; 6) მაღალ ხარისხის კაცთა შეხვედრის დროს მუხლის მოყრა გაუქმებულ იქმნება; 7) ბუდდის მღვდლებს ნება მიეცემათ სატახტო ქალაქში მისვლა-მოსვლისა (532 წლის წინად, როცა ახალი სამეფო გვარეულობა გამეფდა კორეში, ბუდდის მღვდლები ამ გვარეულობის გამეფების წინააღმდეგნი იყვნენ და ამიტომ აეკრძალათ სეულში მისვლა-მოსვლა); 8) ომის შემდეგ ჩინელებთან შევკრავთ ახალ პირობას, როგორც სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო. იმ სახელმწიფოებში, რომელთაც პირობებით შევეკვრებით, ჩვენ მუდმივ გვეყოლება ელჩები; 9) დღეიდგან ყველა ჩვენ ქვეშევრდომს ნება ეძლევა წერილით შეგვატყობინოს ხოლმე თავისი აზრი სახელმწიფოსა, სახელმწიფო დაწესებულებათა და მოხელეთა შესახებ; 10) გაუქმებულ იქმნება ის კანონი, რომლის ძალითაც ყველა კაცი მოვალეა, თუ დედა, ან მამა მოუკვდა, სამის წლის განმავლობაში სახელმწიფო საქმეებს თავი დაანებოს. შეიძლება კაცმა იგლოვოს გარდაცვალებულნი, მაგრამ იმავე დროს აასრულოს თვისი მოვალეობა მეფისა და სამშობლოს წინაშე; 11) მონების ყიდვა და გაყიდვა აკრძალულია, დამნაშავენი სიკვდილით დაისჯებიან; 12) მოხელეთ აკრძალული აქვთ ქრთამის აღება. ყველა კმაყოფილი უნდა იყოს იმ ჯამაგირისა, რომელიც ეძლევა; 13) ჩვენ გვსურს, რომ იაპონიის წინააღმდეგობა მოისპოს ჩვენში, ის წინააღმდეგობა, რომელიც აგერ რამდენიმე საუკუნეა, რაც არსებობს. იაპონიას მხოლოდ ბედნიერება ჰსურს კორესი; 14) რაც შეეხება ფულის ხმარებას, იგი განწეს-რიგდება იმითი, რომ გამოცემული იქმნება ოქროსი, ვერცხლისა და შავი ფული.

—

შანჰაის კორესპონდენტი სწერს გაზ. Républigue Française-ს, ჩინეთში დიდი სამზადისია, რადგანაც ჰფიქრობენ, რომ იაპონელები კორეს არ იკმარებენ და ბრძოლის ასპარეზს თვით «ციურ სამეფოს» ადგილებში გადმოიტანენო. ყველაზედ უწინარეს

---

გონჩაროვი ეტანება წმინდა ხელოვნების იდეალს. ყველა ეხლანდელს მწერლებს აქვთ რამე გარდა ნიჭისა და ეს რამე უფრო ძვირფასია ნიჭზედ და შეადგენს ნიჭის ძალას, გონჩაროვს გარდა ნიჭისა არა აქვს-რა.

„ისკანდერს ყოველთვის აზრები წინ უსწრობენ, იმან წინადვე იცის რასაცა და რისთვისაცა სწერს. ისა სწერს სინამდვილეს გასაოცარი სისწორით მხოლოდ მიტომ, რომ ამაზედ წარმოსთქვას თავისი სიტყვა და გადუწყვიტოს სამართალი. გონჩაროვი სწერს უფრო მიტომ, რომ დააკმაყოფილოს თავისი სურვილი, დასტკბეს თავისი ხელოვნებით".

ახლა დაუგდოთ ყური პრუდონსა, რას ამბობს ის თავისს თხზულებაში „ხელოვნებაზედ".

«ხელოვნება უნდა გვიხატავდეს კაცის ცხოვრებას, კაცთა გრძნობათა და სურვილთა (Страстей), კეთილთა და ცუდთა მხარეთა, შრომათა, ცრუმორწმუნებათა, სასაცილო მხარეთა, აღტაცებათა, დიდებათა, სამარცხვინო საქმეთა... ყველა ამას უნდა ჩადიოდეს აგებულებისა, გონებისა და ზნეობის წარსამატებლად.

„ხელოვნების ყოველს ქმნილებაში უნდა იყვეს მიქცეული ყურადღება ჯერ თვით იდეაზედ, იმის გამოსაყენებლს და მოსახმარისს მხარეზედ დ მერე თვით შესრულებაზედ. ჯერ უნდა იყვეს მიზანი და მერე სახსარი ამ მიზნის შესრულებისა, ჯერ განძი და მერე შესანახი ალაგი, ჯერ აზრი და მერე შესრულება.

„უაზრო ხელოვნებამ ის შესძლვნა ქვეყანას, რომ საზოგადოება და ხელოვნება შორდებიან ცხოვრებას. საზოგადოება აშორებს ხელოვნებას ცხოვრებასა და ხდის იმას გასართობ და შესაქცევ საქმეთა. ეს არის ცხოვრების მოყირჭება, მედიდურობა, არის წრეს გარეთ გასვლა, არის ცრუ ოცნება, არის ყველა, რაც გნებავთ, მხოლოდ ამაში აღარა არის-რა გამოსაყენებელი, არ არის საქმის საუნჯე, არ არის ფორმა ცხოვრებისა, არ არის სახსარი და ძალა ცხოვრების გავრცელებისა და წარმატებისა.

«უკეთუ თქვენ ემსახურებით უქმთა, უსაქმურთა და გაქსუებულთა—განვედით ჩვენგან! ჩვენ არ გვინდა თქვენი ხელოვნება.

„უკეთუ თქვენთვის არის საჯარო დიდ-კაცობა და ბატონობა, განვედით კიდევ ჩვენგან! ჩვენ გდევნით როგორც თქვენ, ეგრეთვე თქვენს ხელოვნებას.

„ჩვენთვის საჭიროა 40,000 ბიბლიოთეკა, სადაც თვითოში უნდა იყვეს ექვსი ათასი ტომი წიგნი; გვინდა ობსერვატორიები, ფიზიკური კაბინეტები, ქიმიური ლაბორატორიები, ანატომიური თეატრები, მუზეები და ათასი ბელვედერები.

„ჩვენ უნდა შევადგინოთ სანიმუშო საცხოვრებლები გლეხებისა და მუშა ხალხისათვის, უნდა გადავაკეთოთ სოფლები და ქალაქები.

„ჩვენ უნდა გადავაქციოთ მთელი საფრანგეთი ერთს დიდ ბაღათ და ვენახათ, გავამსოთ ყორულებით, ჰალაკებით, საგრილობლებით, საჩრდილობლებით, მაღალი ხეებით, რუებით, წყაროებით და ამ გვარი მოსახმარი მშვენიერებაებით".

მაშასადამე, დიდი ხანია უაზრო ხელოვნებას, ხელოვნებას ხელოვნებისათვის უარსა ჰყოფენ როგორც ევროპაში ისე რუსეთშიაც. და თუ შეფურთხება არის საჭირო ამისათვის ვისიმე, ჯერ ჩვენზედ წინა მოძღვართ უნდა შეაფურთხონ, და მერე მე და პისარევს. ჯერ ერთი ესა. მეორე, კიტასა და მსგავსთა მისთა თუ ისინი ჩახედულები არიან ჩვენს ცხოვრებაში და ჰხედავენ ჩვენს უკანასკნელობას უნდა აფიქრებინოს შემდეგი: თუკი დიდებული პრუდონი, შვილი დიდებული საფრანგეთისა ამასა ჰქადაგებს საფრანგეთში, რომელიც მთელი კაცობრიობის თავსა სდგას თავისის ცოდნით და კეთილდღეობით, ჩვენ რა გვეჭიკჭიკ-ბულბულება! ეს არ იქნება ისა, რაც კრილოვის არაკშია ჭრიჭინაზედა, რომელიც მთელი ზაფხული მღეროდა და ზამთარში სიმშილით სული ჰხდებოდა?.. გარწმუნებთ კიტავ, რომ, თუ ჩვენ თქვენისთანა მგალობლები გამოგვივლენ ეს დღე მოგველის. ეს მეორე. მესამე. მე მიწოდებს ქართველ პისარევათ. ეს იმას ნიშნავს, რომ მე ვსწერ პისარევის ბაძით, მის განვლენის ქვეშ. ბ-ნი კიტა, რომ პომფლეტორის განვლენით არა სწერდეს თავის აზრებს, ეცოდინებოდა, რომ ჩემი პისარეობა იწყება იმ დროდამ, როდესაც არამც თუ აქ, თვით რუსეთშიაც ნაკლებ იცნობდნენ პისარევს. სტატია, რომლისა დაწერის გამოც კიტა პისარევს მიწოდებს, არის დაწერილი 1863 წ. მარტში, როდესაც არც კი გაგვეგონა აქ პისარევი ვინ იყო. არამც თუ პისარევს, დობროლუბოვსა და ჩერნიშევსკისაც-კი, რომელნიც იმაზედ ადრე იყვნენ ცნობილნი და მწერლობაში გამოსულნი, არ ვიცნობდით აქა, ვიცნობდით მხოლოდ ბელინსკის. და, თუ იყო ვისიმე გავლენა ამ მხრივ ჩვენზედ, ეს ბელინსკისა. ამასთან კიტა ამას ზიზღით ამბობს. მაგრამ, მე დიდად სასახელოდ ჩავთვლიდი, თუ პისარევის აჩრდილობაცარის შემეძლებოდა ჩემს სამშობლო ქვეყანაში, სადაც სწორეთ პისარევის მსგავსი მწერალნი არიან საჭირო, რომ გამოაფხიზლონ და გამოარკვიონ ჩვენი ხალხი, ჩვენი საზოგადოება ძილიდამ. შორს ნუ წავალთ, შევხედოთ ჩვენს დღევანდელს ბანკის ბრძოლას. ბირადმა ინტერესმა შეიპყრა გონება მთელი ჩვენის საზოგადოებისა. ამისთვის აღარც ქრთამი, აღარც ხალხის გარყვნა მოსყიდვით, ცილებით, ტყუილებით და ყოველი საზიზღარი და სამარცხვინო ქცევით. ამ პირადმა ინტერესებმა შთანთქა ჩვენი ყოველივე ნამდვილი საქმე: ინაცვალა შკოლები, ინაცვალა კითხვანი ჩვენგან კათოლიკებთა მოწყვეტაზედ, ინაცვალა ენა, რომელიც სოფლის ორ კლასიან სასწავლებელშიც-კი გაჰქრა, ინაცვალა ყოველი კითხვა, რომლებზედაც არის დამოკიდებული მთელი მომავალი ჩვენი ერისა, ჩვენი საზოგადოებისა. კონვერსიამ შთანთქა ყოველი. კონვერსიამ, ბატონო! ხელოვნებამ ხელოვნებისათვის, რომელსაც წარმოადგენდა ქადაგება კონვერსიისა მერე იმ უმეცართ და უაზრო პირთ ქადაგებაში, რომელთაც ამაზედ გაშალეს თვისნი ალამნი. პოეტებმა შემართეს მაღლა დროშა გაყრყვნილებისა და შესძახეს პირადი სიძულვილით, ხალხნო! გაჰყიდეთ თავი თქვენი, დახშეთ სინიდისი თქვენი და შეასრულეთ საწადელი ჩვენი პირადი სიძულვილისაო... დიახ! აქ, ამ სამგლოვიარო სანახაობასა და მდგომარეობაში ფურთხება მათი, რომელნიც თხოულობენ ხელოვნებისაგან აზრს, გონების საზრდოს, განა შესაძლებელია?

ლუი-ხუნგ-ჩანგმა სასტიკი თვალყურის გდება დაუწესა იმ რკინის გზას, რომელიც შანჰაი-კუჰანუში მიდის. ეს ის ადგილია, სადაც ჩინეთის ბუმბერაზი კედელი ზღვას უახლოვდება. ტაკუში ყოველ გვარი ღონისძიებაა ნახმარი, რომ იაპონელებმა სამხედრო დემონსტრაცია არ მოახდინონ: მდინარე იანცკიანგის ტოტზედ სიმაგრეებია გაკეთებული, რადგანაც პირდაპირ შანჰაისკენ არის მიმართული და ყველა ნავთ სადგურთან ნაღმებია ჩაყრილი. მაგრამ ყველაზედ უფრო ფორმოზის კუნძულია გამაგრებული, რადგანაც ეს კუნძული იმ გვარს ადგილად ითვლება, სადაც უფრო მოსალოდნელია იაპონელების შემოსევა. მეციხოვნეთა ჯარს კიდევ 15,000 ჯარის-კაცი მოუმატეს, ასე რომ ეხლა 35,000 კაცი ითვლება. ესენი საკმაოდ კარგად არიან შეიარაღებულნი და ამას გარდა თოფხანებში კიდევ იმდენი იარაღი ინახება, რომ ერთს ამდენ ჯარსაც ეყოფა. გაწვრთვნილის ჯარის დასახმარებლად რამდენიმე რაზია, თავისუფლად ჯარში შესულებისაგან შემდგარი. გარდა ამისა, ვიცე-კოროლმა გარდასწყვიტა, თუ საჭიროება მოითხოვს, ფორმოზის კუნძულს 50,000 ჯარის-კაცი მიეშველოს, რომელიც, საერთოდ აზრით, ძნელად თუ ივარგებს ამ საქმისათვის.

## გასართობი

ერთხელ კლოვის ჰუგი და ვიქტორ ჰუგო დაპატიჟებულნი იყვნენ ქ-ნ ლოკრუასთან. როცა დიასახლისმა სადილად მიიპატიჟა და სთხოვა, დაბრძანდითო, ვიქტორ ჰუგო დაჯდა, კლოვი ჰუგი გვერდზედ მოისვა და სთქვა:

— ქ-ნო, დღეს თქვენთან ორი პოეტია სადილადაო.

კლოვის ჰუგიმ მორცხვად შენიშნა დიასახლისს:

— ორი? არა ბატონო, ორი პოეტი-კი არა, ერთიაო მხოლოდ.

ვიქტორ ჰუგომ მაშინ ღიმილითა სთქვა:

— უკაცრავოდ, ბატონო, მე-კი მეგონა, რომ მეც დამერქმეოდა პოეტის სახელიო.

## გამოსადეგი ცნობა

აი რა საშუალებით შეიძლება იმმორტელის (иммортель) ბარომეტრას გაკეთება: აიღეთ 200 წილი წყალი, ჩაასხით 4 წილი გლიცერინი და 30 წილი ხლორისტი კობალტი (хлористый кобальтъ). ამ შენაზავში უნდა ჩასდოთ ჯეროვანად გამხმარი იმმორტელის ყვავილები.

ეს ყვავილები როცა ამ შენაზავშია, დარის-და გვარად იცვლის ფერს: ცუდ დარში უფითლდება, კარგს დარში—მწვანე ფერს მიიღებს ხოლმე. ფერს რამდენისამე დღის წინად იცვლის, ვიდრე ჭაერი შეიცვლება. ამ რიგად იმმორტელი ბარომეტრის მაგიერობას გასწევს. მეტად ლამაზია ასეთი ბარომეტრი, როცა თაიგულად არის ჩადგმული შენაზავში.

პეტერბურგის ბირჟა, 20 აგვისტო.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,44 | 7,47 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 148¼ | 149¼ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 241 | — „ | — „ |
| —მეორისა | 250 | — „ | — „ |
| 4% მესამე სესხისა | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — „ | — „ | 194¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | 101⅜ | — „ | — „ |
| 5% | — „ | — „ | 101 |
| ქუთაისის ბანკის 6% | 101⅜ | — „ | — „ |
| 5% | — „ | — „ | 101 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | 99 „ | — „ |

ეს ცოტაა. ავტორს სასხარაობათ მიაჩნია, რომ მე, 19—20 ყმაწვილმა, რომელსაც კორპუსის მოსამზადებელი კლასს იქით სასწავლებელი არ მინახავს, მოკლე ბიოგრაფიულს შენიშვნაში მთელი ტრაქტატი არ დავსწერე ხელოვნებაზედ. რატომ მე უნდა მეწერა ტრაქტატები, რომელმაც სწავლის ხანა და დრო გავატარე ყრუ სოფლის ყრუ საზოგადოებაში, და არა თქვენ, „უმაღლესი სასწავლებლის მოწაფეთ, უკეთესთა პროფესსორთა მსმენელთა, რომელთაც, გარდა ამისა, შეძლებაცა, სამწიგნობროებიცა, ამხანაგობანიცაა, საზოგადოებაცაა, წრეც და ყოველი ბუნებრივნი თუ ხელოვნებითი გარემოებანი ხელს გიწყობდნენ და გიმართავდნენ, რომ სწავლაც დიდი შეგეძინათ, გონებაც დიდად განგევითარებინათ?! ამასთან, რომ კიდეც მდომებოდა, რომელს ორგანოში მიბრძანებდით ბ-ნო კიტავ ამ ტრახტატების წერას, როდესაც, შემდგომ „მნათობისა“ მე ყველა ქართული ორგანოებიდგან დევნილ ვიყავ?.. მაგრამ წარმოიდგინეთ რომ ისევ მე, და არა სხვამ ვინმემ, დავწერე თითქმის მთელი ტრაქტატი ხელოვნებაზედ აგერ შვიდი-რვა წელიწადია, და თუ მიშოვნით ორგანს, სადაც ამას დამიბეჭდიან,—თუნდა მისთვის მაინც, რომ თქვენ ერთი მუჭა ფურთხი ჩემსკენ კიდევ გამოისროლოთ,—დიდად დამავალებთ... რაც თქვენი თავი არ მოგაგონდეთ ჩემზედ ბრმა სიძულვილით, ისრე სხვები წარმოიდგინეთ, რომელთაც ნაყოფი არის თქვენი მძულვარებაცა. იცით, რა ქორები და ცილები დადიოდა ჩემს ხელთნაწერს „ბრძოლა“-ზედ?.. დღესაც აგერ ექვსი თვეა, თუ მეტიც არა, ერთი ჩემი კარგი ვრცელი ტრაქტატი, ჩემი აზრით ქართველთათვის დიდათ საჭირო კითხვებზედ, გდია ერთს ჩვენს რედაქციაში და არამც თუ დაბეჭდვა და უბრალო თავაზიც კი არ გამოიჩინეს—წაკითხვა რა არის, წაკითხვაც-კი არ აღირსეს... თქვენ შეგიძლიანთ, ბატონო კიტა ეს ახსნათ ჩემი უნიჭობებით, რომ ყველანი მიწუნებენ. ეგ შეგიძლიანთ კიდეც იფიქროთ, მით უფრო რომ ასეთმა ნიჭიერმა ავტორიტეტებმა როგორც ნიკოლოზ დადიანი და სტეფანე ჰრელაშვილი, კიდეც დაამტკიცეს... ჩემი ნაწერების წაუკითხავადკი, როგორც თქვენა. მაგრამ ლაპარაკი არ ყოფილს ფაქტებზედ დამყარებული, ნუ თუ თქვენც, ახალგაზდა მწერალს, გეკადრებათ სხვებთან ერთათ?

ანტონ ფურცელაძე

(დასასრული იქნება)

## განცხადებანი

ბახვის სკოლის შენობის იჯარით გაცემის ვაჭრობა დანიშნულია 1 ოქტომბერს ამა წლისა სოფ. ბახვს ოზურგეთის მაზრაში. ვაჭრობა დაიწყება 5,500 მანეთიდგან ძველი შენობის ზედ დამატებით.

მსურველს შეუძლია დაწვრილებითი ანგარიში ბახვის სოფ. სკოლაში შეიტყოს.

(4—6—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**მ. ი. ფრანციუსი**, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერიფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1467)

ხ ა რ კ ო ვ შ ი

„რიგის“ ქუჩაზედ

გაიმართა ს ა ს ტ უ მ რ ო

„რ უ ფ ა“

დიდად მოხერხებულია, და იაფი.

საუკეთესო სამზარეულო აქვს ხარკოვში.

სასტუმროსთან არის გამართული უმთავრესი საწყობი რიგას ლუდის ქარხნის „კალდშლიოსხენისა“.

ლუდი იგზავნება ყველა ქალაქში. 10—9 (გ 17)

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

**ვ. ი. ჭიჭინაძე**

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—3)



ვერცხლისა



ოქროსი


ტფილ. გამოფენა.




# ქარხანა.

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

## ა. ა. თუთაევისა

ტფილისში, იარმუკაზედ.

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დიდის მაშინის შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა-და-სხვა წონისა ჩემის ფირმით. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვაძლევ სიტყვას, უგზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შეღებილ დუქნების სახურავ ბანებს ბორდოსფრათ, მიხეილის ხიდზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს კუთვნის; ალექსანდრე მუნთოვის სახლის კრიშა მწვანე ფერად-ედიანკით, სადაც ობოლთა მფარველი სასამართლო იყო; და დიკის ფერად აგჯალის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრო საქმისას, თუ ლიტო-ტიფოგრაფიისას.

ვინც დროიანად შემომიკვეთს, ყველ გვარას ხელოსნებსაც ვუშოვნი საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გაგზავნით სხვა ადგილებში. თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

—1579—27

ალალო თუთაევი

РЕДАКЦІЕЙ „ВѢСТНИКА ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“ ПРЕДПРИНЯТО

НОВОЕ ОБЩЕДОСТУПНОЕ ИЗДАНІЕ

собранія сочиненій избранныхъ иностранныхъ писателей.

Цѣль этого изданія дать возможность русской читающей публикѣ пріобрѣтать **ПО НЕБЫВАЛО УДЕШЕВЛЕННОЙ ЦѢНѢ** сочинеиія образцовыхъ иностранныхъ писателей, собранныя вмѣстѣ въ соотвѣтственномъ числѣ томовъ удобнаго формата, доброкачественной внѣшности, въ безукоризненныхъ переводахъ, сдѣланныхъ впервые и заново. Ежемѣсячно 15-го числа будетъ выпускаться по два тома сразу, что составитъ **ВЪ ГОДЪ 24 ТОМА** (не менѣе 480 листовъ или около 8,000 страницъ въ 8-ю долю). Такимъ образомъ подписчики на это изданіе постепенно, въ непродолжительномъ времени, могутъ составить себѣ цѣлую библіотеку произведеній главныхъ и выдающихся корифеевъ всемірной литературы.

Въ настоящее время **ОТКРЫТА ПОДПИСКА НА:**

1) **СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ АЛЬФОНСА ДОДЭ**

**ВЪ 12-ТИ ТОМАХЪ.**

Цѣна за 12 томовъ только по подпискѣ **3 р.** съ доставкой и пересылкой **4 р.**

1-й томъ выйдетъ 15 октября 1894 г., остальн. 11 том. будутъ выпускаться 15 числа каждаго слѣдующаго мѣсяца, а все изданіе окончится 15 сентября 1895 г.

2) **СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ ТЕККЕРЕЯ**

**ВЪ 12-ТИ ТОМАХЪ.**

Цѣна за 12 томовъ только по подпискѣ **3 р.** съ доставкой и пересылкой **4 р.**

1-й томъ выйдетъ 15 октября 1894 г., остальн. 11 том. будутъ выпускаться 15 числа каждаго слѣдующаго мѣсяца, а все изданіе окончится 15 сентября 1895 г.

**Подписывающіеся на оба изданія вмѣстѣ** (цѣна 6 р., съ доставкой и пересылкой 8 р.) пользуются разсрочкой платежа при подпискѣ вносится 3 р., 15 декабря 1894 г. 3 р., а 2 р. за доставку и пересылку 15 марта 1895 г.

**Гг.** служащіе въ казенныхъ и частныхъ учрежденіяхъ пользуются разсрочкою, за ручательствомъ гг. казначеевъ.

**ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ** въ редакціи «Вѣстника Иностранной Литературы», С.-Петербургъ, Верейская ул (собствен. д.) и въ конт. редакціи—Гостиный дв Зеркальная л., 63, магаз. Пантелеева (прот. Пажескаго корпуса); въ Москвѣ—въ конторѣ Печковской, Петровскія линіи.

Редакторъ **Ѳ. И. Булгаковъ.** Издатель **Г. Ѳ. Пантелеевъ.**

(8—7)

Дозволено цезнурою Тифлисъ, 22-го Сентярба 1894 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.